**მწვანე ალტერნატივის შენიშვნები და კომენტარები**

**შპს „გუმი“-ს გაჯისა და ასფალტის საამქროს პროექტის**
**საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული**
**გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე**

**6 ივნისი, 2014 წ.**

გამომდინარე იქედან, რომ გაჯის საამქროსა და ასფალტის საამქროს გზშ ანგარიშები წარმოადგენს ერთნაირი მოცულობისა და შინაარსის მასალას (მცირედი განსხვავებით), წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივის შენიშვნებსა და კომენტარებს შპს „გუმი“-ს გაჯისა და ასფალტის საამქროს პროექტის საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების (შემდგომში - გზშ) ანგარიშების თაობაზე.

განსახილველად წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ნაკლოვანებების თვალსაჩინოებისათვის, ქვემოთ მოცემულია ცხრილი, სადაც ნაჩვენებია გზშ ანგარიშში ასახული ინფორმაციის შესაბამისობა **საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 15 მაისის #31 ბრძანებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების (შემდგომში - დებულების) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის** მოთხოვნებთან. ცხრილის პირველ სვეტში მოცემულია დებულების მოთხოვნები, მეორე სვეტში კი, დებულების მოთხოვნასთან შესაბამისობის მდგომარეობა, ჩვენი შენიშვნით/კომენტარით.

| **დებულების თანახმად, გზშ ანგარიში უნდა მოიცავდეს** | **გზშ ანგარიშის შესაბამისობა დებულების მოთხოვნებთან** |
|---|---|
| **(ა) გარემოს არსებული მდგომარეობის ანალიზს** | <u>**მეტწილად არ აკმაყოფილებს**</u><br>ისეთი მნიშვნელოვანი საკითხი, როგორიცაა დაშორება დასახლებული ზონიდან გზშ ანგარიშში არ არის ნათლად წარმოდგენილი. თავდაპირველად, დოკუმენტის დასაწყისში უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე მანძილად განსაზღვრულია 274 მ-ი. შემდეგ კი, მოცემულია რომ საცხოვრებელი სახლიდან დაშორება 500 მეტრია (გვ. 24). 12.13 ქვეთავში სრულიად საპირისპიროა ნათქვამი, რომ *„უახლოესი საცხოვრებელი განლაგებულია 305 მ-ში“* და <u>რომ საწარმოს ფუნქციონირება შესაბამისად არავის შეაწუხებს.</u> საბოლოოდ მკითხველისათვის გაუგებარია, თუ რა მანძილითაა საწარმო დაშორებული საპროექტო ტერიტორიიდან. აუცილებელია დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი და წარმოდგენილ იქნას გზშ დოკუმენტში.<br><br>რაც შეეხება ქვეთავს „რადიაციული ფონი“, აქ წარმოდგენილი ინფორმაცია არასრულყოფილია. ასევე, არაინფორმატიულია შემდეგი წინადადება, რომ *„საკვლევ ტერიტორიაზე რადიაციულმა გამა-ფონმა შეადგინა 7-12 მკრ/სთ რაც დამახასიათებელია აღნიშნული მიდამოსათვის“.* გარდა ამისა, აღნიშნულის გასამყარებლად |

| | |
|---|---|
| | დოკუმენტში არაფერია მოცემული. არ არის წარმოდგენილი რომელი წლის მონაცემებზე დაყრდნობითაა მომზადებული ზემოთმოცემული ციფრები. |
| (ბ) საქმიანობით გამოწვეული ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენას | <u>აკმაყოფილებს</u> |
| (გ) გარემოს მდგომარეობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების ცვლილებების პროგნოზს | <u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u><br><br>ემისიებთან დაკავშირებული საკითხი იხ. ქვემოთ. |
| (დ) საქმიანობის შედეგად შესაძლებელი ავარიული სიტუაციების ალბათობის განსაზღვრასა და მათი მოსალოდნელი შედეგების შეფასებას | <u>აკმაყოფილებს</u> |
| ე) დაგეგმილი საქმიანობის ეკოლოგიური, სოციალური და ეკონომიკური შედეგების შეფასებას | <u>მეტწილად არ აკმაყოფილებს</u><br>დოკუმენტში არ არის წამოდგენილი და შეფასებული სოციალური და ეკონომიკური შედეგები.<br><br>ანგარიშში სოციალურ-ეკონომიკურ ასპექტებს შორის დასახელებულია 13 თანამშრომლის დასაქმება, რაც „აუმჯობესებს ადგილობრივ სოციალურ მდგომარეობას“. თუმცა, არ არის ნათელი, რამდენია, ადგილობრივთა წილი დასაქმებულთა შორის. გარდა ამისა, დოკუმენტში ზემოთაღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, არანაირი ღირებული სახის ინფორმაცია არ არის გავრცობილი. |
| ვ) გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებისა და თავიდან აცილების გზებს, საჭიროების შემთხვევაში, საკომპენსაციო ღონისძიებების განსაზღვრას | <u>არ აკმაყოფილებს</u><br><br>საერთოდ არ არის გზშ დოკუმენტში განხილული აღნიშნული საკითხი. |
| ზ) ნარჩენი (კუმულატიური) ზეგავლენის, მისი კონტროლისა და მონიტორინგის მეთოდების განსაზღვრას | <u>არ აკმაყოფილებს</u><br><br>საერთოდ არ არის გზშ დოკუმენტში განხილული აღნიშნული საკითხი. |
| | |

| | |
|---|---|
| (თ) პროექტების ეკოლოგიურ-ეკონომიკური შეფასების ჩატარებას | <u>არ აკმაყოფილებს</u><br><br>არ არის მოცემული გზშ ანგარიშში. |
| (ი) პროექტის განხორციელების ადგილმდებარეობის, ასევე დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიის ალტერნატივების განსაზღვრას | <u>აკმაყოფილებს</u> |
| (კ) სამეწარმეო და სხვა სახის საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში, გარემოს წინანდელ მდგომარეობამდე აღდგენის გზებისა და საშუალებების განსაზღვრას | <u>არ აკმაყოფილებს</u><br><br>მსგავსი სახის ინფორმაცია საერთოდ არ არის გზშ ანგარიშში წარმოდგენილი |
| (ლ) საზოგადოების ინფორმირებასა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლას | <u>არ აკმაყოფილებს</u><br><br>საერთოდ არ არის მსგასი საკითხი დოკუმენტში განხილული. |
| (ნ) მოსალოდნელი ემისიების სახეობებისა და რაოდენობის დადგენას | <u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u><br><br>აღნიშნული საკითხი ორივე დოკუმენტში იდენტურადაა წარმოდგენილი. სადაც, მოცემულია საწარმოს მიერ გაფრქვეულ ემისიათა რაოდენობა. თუმცა, მოცემული საკითხის გაცნობისას მისი ნაწილი არასრულყოფილად არის განხილული. რაც შესაბამისად, ქვეთავის გაცნობის შემდეგ არაერთ კითხვას აჩენს. მაგალითად:<br><br>• როგორც გაჯის საამქროს, ასევე ასფალტის საწრამოს გზშ ანგარიშში მოცემულია ტექნოლოგიის მოკლე აღწერილობა, გაფრქვევები წარმოების პროცესში და ნათქვამია, რომ პროდუქტის ამტვერიანების შესამცირებლად, დანადგარი აღჭურვილი იქნება მტვერდამჭერებით. თუმცა, არ არის მოცემული რა ტიპის მტვერდამჭერები გამოიყენება, მისი შერჩევის დასაბუთება, მისი საანგარიშო პარამეტრები.<br><br>• გარდა ამისა, წარმოდგენილ უნდა იყოს არჩეული მტვერდამჭერების საპასპორტო მონაცემები, მწარმოებელი ქვეყანა და ფირმა. რათა გადაწყვეტრილების მიმღებმა პირებმა შეაფასონ, თუ რამდენად ეფექტურია არჩეული მტვერდამჭერები სხავასთან შედარებით.<br><br>• 13.1 ქვეთავში აღნიშნულია, რომ *„დანადგარის საშრობი ღუმელის მიმღები კვანძი, საშრობი ღუმელი... რეზერვუარები უზრუნველყოფილია ასპირაციული სისტემით, რომელიც* |

| | |
|---|---|
| | *დაკომპლექტებულია H=20 მ, გამოსაფრქვევი მილით“.* თუმცა, არაფერია ნათქვამი აღნიშნულ ნაწილზე დამონტაჟებული იქნება თუ არა ფილტრები. |
| (ო) დაგეგმილი საქმიანობიდან გამოწვეული რისკების ანალიზს (მშენებლობის ან/და ექსპლუატაციის ეტაპზე) | <u>აკმაყოფილებს</u> |
| (პ) დაგეგმილი საქმიანობის ტექნოლოგიური ციკლის აღწერას (მათ შორის – დანადგარის საპასპორტო მონაცემები) | <u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u><br><br>დოკუმენტში მოცემულია ტექნოლოგიური ციკლის აღწერა, თუმცა არ არის წარმოდგენილი დანადგარის საპასპორტო მონაცემები. |
| რ) საქმიანობის განხორციელებისა და მიმდინარეობის ეტაპისათვის გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმების შემუშავებას, სადაც გათვალისწინებული იქნება გარემოსდაცვითი უსაფრთხოების თვითმონიტორინგის პროგრამა | <u>ნაწილობრივ აკმაყოფილებს</u><br><br>გზშ ანგარიშში, მოცემულია მხოლოდ წყლისა და ჰაერის მონიტორინგი სქემა. საერთოდ არ არის განხილული ხმაურთან და ნიადაგთან დაკავშირებული საკითხები. |

- გზშ ანგარიშის 12.1 ქვეთავში ნათქვამია, რომ საწარმოს ტერიტორიაზე დასაწყობებლია ინერტული მასალები და წელიწადის ცხელ პერიოდში ხდება ნაყარის ზედაპირის პერიოდულად მოშხეფვა _ არ არის დასაბუთებული ამ მეთოდის ეფექტურობა; აგრეთვე, არ არის ნათელი ინერტული მასალები განთავსებულია დახურულ თუ ღია სივრცეში?

- დოკუმენტში საერთოდ არ არის მოცემული პროექტის აღწერა. მასთან დაკავშირებული ინფორმაცია ანგარიშის სხვადასხვა ქვეთავებშია გაბნეული.

- რაც შეეხება ნარჩენების მართვის საკითხებს ზედაპირულად არის მომზადებული. აღნიშნულ თემას 26.1 და 26.2 ქვეთავები ეთმობა. სადაც, ჩამოთვლილია წარმოქმნილი ნარჩენების სახეები და განხილულია, თუ სად მოხდება მათი განთავსება. თუმცა, ქვეთავების გაცნობის შემდეგ არ არის შესაძლებელი დადგინდეს, საწარმოს მიერ წარმოქმნილი ნარჩენების საბოლოო განთავსების ადგილმდებარეობა, უბრალოდ ნათქვამია, რომ *„ობიექტის ნარჩენები დაგროვების შემდეგ გადაეცემა გარემოს დაცვის სამსახურთან შეთანხმებით შესაბამის სამსახურს“* - კონკრეტულად რომელ დაწესებულებებს მოიაზრებს განმახორციელებელი არ არის ნათელი. ასევე, მსგავსი *„რაც შეეხება დაჭრილ ნავთობპროდუქტებს... გადაეცემა იმ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია ამ პროცედურის ჩატარება. თუ ასეთი ვერ მოიძებნა, მაშინ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების ნარჩენების სამსახურთან უნდა შეთანხმდეს საკითხი ნავთობპროდუქტების განთავსების შესახებ“.* ამ დროისათვის უკვე დადგენილ უნდა იყოს თუ როგორ/სად მოხდება

ნარჩენების განთავსება. თუკი გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საწარმო უკვე მრავალი წელია ფუნქციონირებს, ამ დროისათვის (დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე) უნდა ჰქონდეს სრულყოფილად ჩამოყალიბებული ნარჩენების მართვის გეგმა.

- გზშ ანგარიშების დასასრულს წარმოდგენილია დანართები, რომელიც მოცემულია რუსულ და არა ქართულ ენაზე.